# ხელშეკრულება
# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №32060101/01/23

CPV: 50112000 - მანქანების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება

ქ. თბილისი 05 თებერვალი,2016 წელი

ერთის მხრივ საქართველოს ს.ს.ი.პ. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო (შემდგომში – შემსყიდველი), მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სააგენტოს დირექტორის გრიგოლ გაგოშიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „R- მოტორსი"-ს წარმოდგენილი დირექტორის რამაზ რატიანიძის სახით (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-$10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:
:

## *1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი*

1.1 ხელშეკრულების საგანია **სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით** სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"-ს ბალანსზე რიცხული ავტომანქანები Hyundai elantra - გამოშვების წელი 2011 წლის 30 სექტემბერი, სახელმწიფო ნომრით FCF-173 და Kia Cerato გამოშვების წლის 2011 30 ოქტომბერი, სახელმწიფო ნომრით FCF-442 მარკის ავტომობილისათვის ტექნიკური მომსახურების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 მომსახურება ითვალისწინებს: Hyundai elantra - გამოშვების წელი 2011 წლის 30 სექტემბერი, სახელმწიფო ნომრით FCF-173 და Kia Cerato გამოშვების წლის 2011 30 ოქტომბერი, სახელმწიფო ნომრით FCF-442 , მარკის ავტომობილების ტექნიკურ მომსახურებას დანართის შესაბამისად; დანართი 4 გვერდი.

1.3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

## *2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება*

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: 556 (ხუთასორმოცდათექვსმეტი) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების (დ.ღ.გ. და სხვა) ჩათვლით.

## *3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია*

3.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი **5** დღეზე მეტი დაგვიანებით ან უხარისხოდ გაწეული მომსახურების, და/ან უხარისხო სათადარიგო ნაწილების მიღებაზე და მათ ანაზღაურებაზე.

3.2 მომსახურების გაწევის დროს, გაწეულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე, ყველა რისკები ავტომანქანისადმი მიყენებულ ზიანზე ეკისრება მიმწოდებელს.

3.3 მომსახურების გაწევის შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ავტომანქანა.

## *4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები*

4.1 ავტომანქანების მომსახურება წარმოებს მხარეთა მიერ ყოველ კონკრეტულ შემთხვევისათვის შედგენილი და შეთანხმებული დეფექტური აქტის ან შეკვეთის საფუძველზე, რომელშიც აღინიშნება გამოსაცვლელი სათადარიგო ნაწილების, საცხებ-საპოხი მასალებისა და შესასრულებელი სამუშაოს შემადგენლობა, მოცულობა და შესრულების ვადები.

4.2 თუ დეფექტური აქტის მიხედვით საჭიროა სათადარიგო ნაწილების გამოცვლა, შემსყიდველი უფლებამოსილია თვითონ შეისყიდოს ისინი და გადასცეს მიმწოდებელს სამუშაოების ჩასატარებლად. ამ შემთხვევაში მიმწოდებელი არ აგებს პასუხს სათადარიგო ნაწილების ხარისხზე.

4.4 შესყიდვის ობიექტის მომსახურების გაწევის თარიღია 2016 წლის 05 თებერვალი 2016 წლის 15 თებერვლის ჩათვლით.

### *5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი*

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

### *6 ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი*

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით.

6.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერისა და წარმოდგენის შემდეგ 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

6.3 ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

### *7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული საქონლისა და მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურეობის საფასური, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლისა და გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- ხარისხიანად და დროულად უზრუნველყოს ავტომანქანების ტექნიკური მომსახურება.
- შემსყიდველის მიმართვისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა ჩაატაროს ავტომანქანის დათვალიერება და წარუდგინოს შემსყიდველს დეფექტური აქტი ხელმოსაწერად.
- მიანიჭოს პრიორიტეტული უფლება ავტომანქანებს მომსახურეობაზე, რაც გულისხმობს მათ რიგგარეშე და დაუყოვნებლივ მომსახურეობას.
- უზრუნველყოს დეფექტურ აქტში მითითებული სამუშაოების დაუყოვნებლივ შესრულება..
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

### *8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას*

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან

13.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სააგენტოს საფინანსო სამსახურის უფროსი ვასილ მარდალეიშვილი.
13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.
13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## *14. სხვა პირობები*

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## *15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

**შემსყიდველი:**

სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო", მისამართი: ქ. თბილისი, ალექსიძის N1, შენობა–ნაგებობა N1, მე–2 სართული, ს/კ 202294980; სახელმწიფო ხაზინა, ა/ა 200122900, კოდი: 220101222

დირექტორი:
გრიგოლ გაგოშიძე

______________________
(ხელმოწერა)

მიმწოდებელი:

შ.პ.ს „R მოტორსი", მისამართი: თბილისი, ი.პეტრიძის ქ.N19, ს/კ40071042, ს.ს ,,პროკრედიტ ბანკი", ბანკის კოდი:MIBGGE22, ა/ნ: GE61PC0623600100000530

დირექტორი:
რამაზ რატიანიძე

______________________
(ხელმოწერა)

შპს "კია მოტორს ჯორჯია"
მცხეთა,
დავით აღმაშენებლის ქუჩა
3300, საქართველო

KIA MOTORS GEORGIA LTD
DAVID AGMASHENEBELI ST.
MTSKHETA
GEORGIA

KIA MOTORS
The Power to Surprise

01/02/2016

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტოს

განცნობებთ თქვენს მიერ შპს „კია მოტორს ჯორჯია"-ში შეძენილი შემდეგი ავტომობილების გამოშვების წელს და თვეს:

Kia Rio vin#: KNADN512BC6755719 2012 წლის თებერვალი
Kia Sportage vin#: KNAPC811DC7255617 2011 წლის ნოემბერი
Kia Cerato vin#: KNAFU411BC5541312 2011 წლის ოქტომბერი

პატივისცემით,

შპს კია მოტორს ჯორჯიას დირექტორი /გ. ზარიშვილი/

"KIA MOTORS GEORGIA LTD" • 236096575

HYUNDAI Official Partner | EURO2016 FRANCE

*1 თებერვალი, 2016 წელი*
*№0202-003*

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტოს

პატივცემულო ბატონებო,

თქვენი მოთხოვნის პასუხად გიგზავნით ინფორმაციას სააგენტოს ბალანსზე მყოფი ავტომობილების შესახებ:

| № | მოდელი | სახ.ნომ | ძრავი | ID ნომერი | წელი | რიცხვი, თვე |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | Hyundai elantra | FCF-171 | 1800 | KMHDH41EBCU315806 | 2011 | 30.09 |
| 2 | Hyundai elantra | FCF-172 | 1800 | KMHDH41EBCU315706 | 2011 | 30.09 |
| 3 | Hyundai elantra | FCF-173 | 1800 | KMHDH41EBCU315919 | 2011 | 30.09 |
| 4 | Hyundai elantra | AA-781-OO | 1800 | KMHDH41EBCU315733 | 2011 | 30.09 |
| 5 | Hyundai elantra | AA-782-OO | 1800 | KMHDH41EBCU363658 | 2011 | 15.11 |

ალექსანდრე ხვედელიძე
სერვისის დირექტორი

ს.ს. "ჰიუნდაი ავტო საქართველო" JSC "HYUNDAI AVTO GEORGIA" 204478048

## შ.პ.ს. “R” მოტორსი

ს/კ 400071042
მის. ქ.თბილისი ი.პეტრიწის ქ.19
პროკრედიტ ბანკი ა/ა GE61PC0623600100000530
ბანკის კოდი MIBGGE22
ტელ. 032 2595052 მობ 571 789978

ინვოისი

თარიღი 3 თებერვალი 2016 წ
ა/მ HYUNDAI ELANTRA
სახელმწიფო ნომერი FCF 173

დამკვეთი სსიპ "საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"

| ნაწილის დასახელება | რ-ბა | ერთეულის ფასი | მთლიანი ფასი |
|---|---|---|---|
| წინა სტერჟინი | 2 | 90 | 180 |
| ძრავის ზეთი | 4 | 22 | 88 |
| ძრავის ზეთის ფილტრი | 1 | 20 | 20 |
| ჰაერის ფილტრი | 1 | 45 | 45 |
| სანისლე ნათურა | 1 | 15 | 15 |
| მომსახურება | 1 | 40 | 40 |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |

სულ **388** ლარი **00** თეთრი

შპს **R** მოტორსის დირექტორი რ.რატიანიძე

# შ.პ.ს. "R" მოტორსი

ს/კ 400071042
მის. ქ.თბილისი ი.პეტრიწის ქ.19
პროკრედიტ ბანკი ა/ა GE61PC0623600100000530
ბანკის კოდი MIBGGE22
ტელ. 032 2595052 მობ 571 789978

ინვოისი

თარიღი _3 თებერვალი 2016 წ
ა/მ KIA CERATO
სახელმწიფო ნომერი FCF 442
დამკვეთი სსიპ "საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"

| ნაწილის დასახელება | რ-ბა | ერთეულის ფასი | მთლიანი ფასი |
|---|---|---|---|
| ჰაერის ფილტრი | 1 | 60 | 60 |
| ძრავის ზეთი | 4 | 22 | 88 |
| ძრავის ზეთის ფილტრი | 1 | 20 | 20 |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |

სულ **168** ლარი **00** თეთრი

შპს **R** მოტორსის დირექტორი რ.რატიანიძე